MES 4 21 0000049689

01/02/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 1.02.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (III, IV, V)
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (I, II)
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
15. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდა წესებულებისდასახელ ება	სტატუსი	საკითხი
1.	ირმა გრძელიძე	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	I-II
1.	გიორგი ღაღანიძე		დეკანი	I-II
1.	ეთერ ხარაიშვილი,		ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	I-II
1.	ნათია გოცაძე	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯი"	რექტორი-პროგრამის ხელძღვანელი,	III
1.	მარიამ დარბაიძე		ვიცე რექტორი	III
1.	მაკო ჯაოშვილი		ვიცე რექტორი, პროგრამის ხელძღვანელი	III
1.	ნინო არჯევნიშვილი		იურისტი	III
1.	გაიოზ ფარცხალაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
1.	გოჩა ჩავლეშილი		ასოცირებული პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
1.	თამარ სირაძე		პროფესორი, რექტორის მოადგილე	IV
1.	ირაკლი კორძაია		ასოცირებული პოფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი	IV
1.	მაკა ბერიძე		რექტორი	V

1.	ნინო მილაშვილი	სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
1.	ზაირა ტყებუჩავა		პროგრამის ხელმძღვანელი	V
1.	ნანა ზუბაშვილი		პროგრამის თანახელმძღვანელი	V
1. ნანა ზუბაშვილი	თეა გულუა		გაეროს განვითარების პროგრამა ,,ცოდნის მართვისა და ინოვაციების" სპეციალისტი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	რომან მამულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
2	სოფიო ხუნდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
3	ლელი ბიბილაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	ნინო ჭალაღანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ალექსანდრე წაქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	თინათინ ხიმშიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
7	ვახტანგ ბალავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	გიორგი მეშველიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	გიორგი ჯაფოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	ნანა წიკლაური	(ჩაერთო „ზუმით“)	V

სხვა დამწრე პირები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	დავით ნარმანია	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
2	ეკა ჩოხელი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
3	მანანა ხარხელი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" საზოგადოებრივი ურთიერთობების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიატციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" საზოგადოებრივი ურთიერთობების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიატციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	პროგრამა აკრედიტებულია 29/08/2018, 111 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 02
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. N2, თსუ მე-10 (მაღლივი) კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		პროგრამა აკრედიტებულია 27/06/2019, 141 გადაწყვეტილებით

	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 02
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. N2, თსუ მე-10 (მაღლივი) კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

ü დიახ

ირაკლი ბურდულმა და ირმა წერეთელმა პირველ და მეორე საკითხებთან დაკავშირებით განაცხადეს თბითაცილება. საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი და მეორე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოადგინათ მათი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომან მამულაძემ აღნიშნა, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული შემოწმება განხორციელდა მონიტორინგის ფარგლებში. მონიტორინგის საფუძველი იყო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრში შემოსული წერილები, რომლის შესაბამისად დაწესებულებამ ცენტრს აცნობა"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში განახორციელა ცვლილებების შესახებ და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 30-ე მუხლის შესაბამისად, მოახდინა ცენტრის ინფორმირება. ამავდროულად, ცენტრში შემოვიდა დაწესებულების აკადემიური პერსონალის საინიციატივო ჯგუფის 2020 წლის 15 სექტემბრის და 2 ნოემბრის საჩივარი, უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. განცხადებებში აღნიშნულია, რომ აღნიშნულ პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს, მათი მოსაზრებით, არ აქვს დადებითი შედეგი. აღნიშნულის საფუძველზე, პროგრამების მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის 26 და 27 ნოემბერსდადგენილი პროცედურების სრული დაცვით. შეფასება განხორციელდა კომუნიკაციის თანამედროვე საშუალების Zoom პროგრამის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინტერვიურების მიმდინარეობის პროცესში, ექსპერტები გაესაუბრნენ ფაკულტეტის დეკანს, სტუდენტებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალსა და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს. დიალოგი კონსტუქციულ ხასიათს ატარებდა. მიღებული იქნა ამომწურავი პასუხები და ინსტიტუციის მხრიდან უზრუნველყოფილ იქნა შეხვედრის ყველა საკითხი წარმართულიყო ორგანიზებულად. აღნიშნულმა პროგრამამ აკრედიტაცია 2018 წელს მიიღო და მიიღო 7 წლის ვადით. აკრედიტაციის მომენტში, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდა 7 არჩევით მოდულს. 2020 წელს „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაში შევიდა ცვლილება და დაემატა ახალი არჩევითი მერვე მოდული - „გლობალურ გარემოში მენეჯმენტი“. პროგრამაში განხორციელებული ცვლილება განხილულია ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს სხდომაზე. მათ ასევე ვიზიტამდე დანიშნეს შეხვედრა, სადაც შეისწავლეს პროგრამა და დაადგინეს შესაბამისობა აკრედიტაციის პირველი, მე-2 და 4 სტანდარტის (4.1 კომპონენტი) მიხედვით. პირველი სტანდარტის ორივე კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამა არის შესაბამისობაში. ექსპერტების მხრიდან გაჟღერებული იქნა მხოლოდ ერთი რჩევა. მეორე სტანდარტი ითვალისწინებდა სწავლის მეთოდოლოგიას, ორგანიზებასა და პროგრამის შეფასების ადეკვატურობას. 2.1 კომპონენტ, რომელიც ეხება პროგრამის წინაპირობის განსაზღვრას, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე კომპონენტი რომელიც ეხება საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას და შინაარსის მიმართ პირობების განსაზღვრას, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებათან. იგოგეს აღვნიშნავთ შეფასების მხრივ 2.3 კომპონენტთან მიმართებით.

2.4 და 2.5 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.6 კომპონენტი კი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტების მხრიდან არის გაცემული 1 რეკომენდაცია და 1 რჩევა. საბოლოოდ მეორე სტანდარტს ექსპერტებმა განუსაზღვრეს მეტწილად შესაბამისობა. ექსპერტთა ჯგუფს მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით აინტერესებდა, თუ რამდენად შეიცვალა აკადემიური პერსონალის რაოდენობა და გააჩნდა თუ არა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებასთან აუცილებელი კომპეტენცია. ინტერვიუს ფარგლებში დაზუსტდა, რომ პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს არ გამოუწვევია აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

ახალი მოდულის სასწავლო კურსები შემუშავებულ იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „გლობალურ გარემოში მენეჯმენტის“ კათედრის წევრების მიერ, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი

კომპეტენციები. ასევე არ შეცვლილა ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა. საჩივრის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ „გლობალურ გარემოში მენეჯმენტის“ კათედრა, რომელმაც შეიმუშავა ახალი მოდული, დაკომპლექტებულია მათი (მენეჯმენტისა და ადმინისტრირების) კათედრის ყოფილი თანამშრომლებისაგან და გააჩნიათ დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესაბამისი კვალიფიკაცია. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტის პირველი კომპონენტის მოთხოვნებთან (4.1 ადამიანური რესურსი).

რაც შეეხება რეკომენდაციებს:

- რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში ისწავლებოდეს საერთაშორისო პროექტების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფდა მოდულის ფარგლებში მისაღწევი შედეგების უკეთ გამომუშავებას.
- რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში მეტი სიზუსტით მოხდეს სწავლის შედეგების გაწერა და ისეთი სახით ფორმულირება, რომ შესაძლებელი იყოს გაწერილი შედეგების მეტად გაზომვა და შეფასება.
- სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების უფრო მეტად გათვალისწინების მიზნით რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში არსებული კონკრეტული სასწავლო კურსების შემთხვევაში შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული იყოს არა მხოლოდ ტესტური ტიპის შეკითხვები, განსაკუთრებით სასწავლო კურსებში, რომლითაც განსაზღვრულია ისეთი სწავლის შედეგების მიღწევა როგორიცაა ანალიზი, შეფასება, დასკვნების შემუშავება და ჩამოყალიბება, კონცეფციის ჩამოყალიბება, არგუმენტირება, სტრუქტურის დახვეწა, ცვლილებების გატარება, შედეგების ფორმულირება.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამის შეფასებას, აღნიშნულმა პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს და მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია. აკრედიტაციის მინიჭების პროცესში, საგანამანათლებლო პროგრამა შეიცავდა 7 არჩევით მოდულს. 2020 წელს სამაგისტრო პროგრამაში შევიდა ცვლილება და დაემატა არჩევითი მოდული „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი''. მიდგომა ექსპერტის განმარტებით ანალოგიურ ცვლილებას ეხებოდა. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის პირველი, მე-2 და მე-4 (4.1 კომპონენტი) სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის პირველი სტანდარტის მეორე კომპონენტის მოთხოვნებთან (1.2 პროგრამის სწავლის შედეგები).

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მიიჩნია, რომ პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის მეორე სტანდარტის პირველ კომპონენტის მოთხოვნებთან (2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები), პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის მოთხოვნებთან (2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი). პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის მეორე სტანდარტის მესამე კომპონენტის მოთხოვნებთან (2.3. სასწავლო კურსი).

2.4 და 2.5 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.6 კომპონენტში აქვთ მეტწილი შესაბამისობა.

მეორე სტანდარტი საბოლოოდ მეტწილი შესაბამისობით შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა ხოლო მეოთხე სტანდარტი, შესაბამისია მოთხოვნებთან.

ექსპერტმა ასევე ჩამოთვალა რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი” მოდულის ფარგლებში ისწავლებოდეს თანამშრომელთა შეფასების მოდელებთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლებელია საკითხები გაერთიანებული იყოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა“ ფარგლებში, რაც უზრუნველყოფდა მოდულის ფარგლებში მისაღწევი შედეგების უკეთ გამომუშვებას;

- რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლიური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები მიეთითოს დამატებით ლიტერატურაში;
- რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში მეტი სიზუსტით მოხდეს სწავლის შედეგების გაწერა და ისეთი სახით ფორმულირება, რომ შესაძლებელი იყოს გაწერილი შედეგების მეტად გაზომვა და შეფასება.
- სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების უფრო მეტად გათვალისწინების მიზნით რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში არსებული კონკრეტული სასწავლო კურსების შემთხვევაში შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული იყოს არა მხოლოდ ტესტური ტიპის შეკითხვები, განსაკუთრებით სასწავლო კურსებში, რომლითაც განსაზღვრულია ისეთი სწავლის 16 შედეგების მიღწევა, როგორიცაა „პროცესის ინიცირება და დანერგვა“, „კომპანიის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება“, „ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტთან შესაბამისობაში მოყვანა“, „მრავალმხრივი ანალიზისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება“, „კვლევითი პროექტის შექმნა და დამოუკიდებელი კვლევა - ანალიზი.

ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ფაკულტეტის ძალისხმევას და გაწეულ შრომას საგანმანათლებლო პროგრამების, ფაკულტეტის და ზოგადად უნივერსიტეტის განვითარების საქმეში. დასაფასებელია გაწეული შრომის მოცულობა და ხარისხი, დამუშავებულია ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის ახალი სასწავლო კურსები, გათვალისწინებულია ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები, შრომის ბაზრის მოთხოვნები და შედგენილია საინტერესო, საჭირო და დროული სასწავლო მოდულები, თარგმნილია უახლესი ლიტერატურა, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებს სხვა უნივერსიტეტებიც და ამით საკუთარი წვლილს შეიტანენ ეროვნული განათლების სისტემის ხარისხის განვითარების საქმეში.
არსებული ცვლილებები ამდიდრებს და სრულიად ახალ ფუნქციას ანიჭებს „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამას. მისასალმებელია ფაკულტეტის ხელმძღვანელობის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ერთსულოვნებაც აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით, გარდა გამონაკლისებისა.
მიუხედავად შექმნილი მცირე არასასიამოვნო გარემოებისა, ექსპერტთა ჯგიფი იმედოვნებს, რომ ეს არის დროებითი მოვლენა. ნათლად არის გამოკვეთილი გუნდურობის პრინციპი როგორც ფაკულტეტის, ასევე უნივერსიტეტის დონეზე. ისინი ფიქრობენ, რომ აღნიშნული პროცესი გაგრძელდება და უნივერსიტეტს და ფაკულტეტს ექნება მორიგი ახალი და ინოვაციური წარმატებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათი განმარტებით პროგრამაში წარმოდგენილი იქნა ცვლილებები, რომლებიც აკადემიურმა საბჭომ განიხილა, რის შემდგომაც ეცნობა ცენტრს და უნივერსიტეტს.
რეკომენდაციები მისი მოსაზრებით განმავითარებელი ხასიათისაა და გარკვეულწილად მიიჩნიეს, როგორც გაუმჯობესებისთვის წინგადადგმული ნაბიჯი.
ფაკულტეტის დეკანის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტი ემსახურებოდა პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების და განვითარების აუცილებლობას. მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ყველა აღნიშნული რეკომენდაციისათვის. იგი შეეხო ექსპერტთა მიერ რეკომენდაციების შეთავაზების საკითხ. პირველ რიგში აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების გაწერას იგი შეაფასებდა, მათ მუდმივ

ამოცანად. მან ასევე აღნიშნა,რომ 2023 წლისთვის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებს უწევთ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორითან შესაბამისობაში მოყვანა, ამიტომ, დაგეგმილია მისი ამ ეტაპისათვის მეტად დახვეწა და განვითარება.
ტესტური ფორმით გამოცდები შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული თუ ისინი სხვა კომპონენტებშიც შემოიღებენ მინიმალური დაშვების ზღვარს. ასევე ისაუბრა ექსპერტების გამოთქმულ პოტენციურ საშიშროებაზე.
რაც შეეხება რეკომენდაციას ბაკალავრიატში საერთაშორისო პროექტების მართვასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა რომ არ მოიპოვება თანამედროვე სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, და ვინაიდან მათ რამოდენიმე სხვა დისციპლინაში აქვთ მოცემული პროექტების მენეჯმენტის საკითხები, მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს აღნიშნული საგნის დამატებით შემოტანა. მათი განმარტებით, როგორც კი იქნება შესაბამისი სახელმღვანელო ქართულ ენაზე უმალვე მოხდება ამ დისციპლინის შეტანის განხილვა.
რაც შეეხება მაგისტრატურას და მოდელებთან დაკავშრებულ საკითხს, მათი განმარტებით სხვადასხვა ასპექტები განხილული არის ისეთ სასწავლო დისციპლინაში, როგორიცაა ტალანტების მართვა, ასევე ინსტიტუციამ აღნიშნა, რომ ამ საკითხების გაერთიანება შესაძლებელია ადამიანების რესურსების პრაქტიკის მართვის სასწავლო კურსში და მოდულის შემდგომი განვითარებისთვის ამას აუცილებლად განიხილავენ.
ექსპერტების ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, მოცემული იყო, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლიური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება, ან ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები მიეთითოს დამატებით ლიტერატურაში; ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიიჩნიეს, რომ არ არის მისი განხორციელება აუცილებელი, თუმცა ეთანხმებიან, რომ დამატებით ლიტერატურაში იყოს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები.

საინიციატოვო ჯგუფის წარმომადგენლმა, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა, მანანა ხარხელმა აღნიშნა, რომ გასაგები იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის და კათედრის ხელმძღვანელის, გიორგი ღაღანიძის მოსაზრებები, თუმცა არამდენად მიზანშეწონილად მიაჩნდათ ამ ორ კათედრაზე დუბლირებული საგნების არსებობა. მით უმეტეს, როდესაც ''ადამიანური რესურსების მენეჯმენტის'' სასწავლო კურსი ოდითგანვე იყო მენეჯმენრტის კათედრის დასაყრდენი. ახალ კათედრის შექმნა მისასალმებელი იყო და კარგი იქნებოდა ახალი მიმართულებების გაძლიერება. იგი დაინტერესდა საბჭოს მოსაზრებით, რამდენად მისაღები იყო მათთვის ერთი კათედრიდან მეორეზე პერსონალის გადასვლა ძირძველი კათედრის ფუნდამეტური სილაბუსების გადატანა. მისი აზრით, იჩაგრებოდა ძირძველი „მენეჯმენტისა და ადმინისტრირების“ კათედრა. მან ასევე აღნიშნა, რომ „მენეჯმენტისა და ადმინისრირების“კათედრის დუბლირებას წარმოადგენდა ახალი, „გლობალურ გარემოში მენეჯმენტის“ კათედრა.

სხდომის თავმჯდომარის, დიმიტრი გეგენავას მოსაზრებით, აქ საუბარია წმინდა სტრუქტურირებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რომელიც არაა აკრედიტაციის საბჭოს განსახილველი საკითხი. მისი აზრით ეს არის მიმდინარე ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რომლის შეფასება სტანდარტით შეუძლებელი იქნება გარე ექსპერტის მხრიდან. დაამატა ისიც, რომ მსგავსი გადაწყვეტილება (კათედრების დამატების, საგნების გადანაწილების) უნივერსიტეტის ავტონომიისა და დისკრეციის ფარგლებში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მიიღება. ადმინისტრაციულ მოწყობასთან დაკავშირებით მან გააჟღერა, რომ ხშირ შემთხვევაში არ არის სათანადოდ დაცული უმცირესობის მოსაზრებები, ხოლო ამ საკითხში ჩარევა უნივერსიტეტის დისკრეციაში შეჭრად ჩათვალა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ იზიარებდა გიორგი ღაღანიძის პოზიციას, საბჭოზე წარმოდგენილი განსახილველი საკითხი წარმოადგენდა უნივერსიტეტის შიდა მოწყობის თემას. ერთადერთი, რაზეც შესაძლოა საბჭოს ემსჯელა, იქნებოდა თუ სილაბუსს წაიკითხავდა პიროვნება ავტორის ნებართვის გარეშე. აღნიშნულს დაეთანხმა საბჭოს წევრი გიორგი თურქია და აღნიშნა, რომ სილაბუსის მითვისებასთან დაკავშირებითაც საბჭო ვერ იქნებოდა უფლებამოსილი განეხილა და რაიმე გადაწყვეტილება მიეღო. ესეც იყო უნივერსიტეტის პრეროგატივა და დაწესებულებაში იქნებოდა წესი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის წესების შესახებ.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი ''ადამიანების რესურსების მართვა'' დიდ უნივერსიტეტში ორი სხვადასხვა აკადემიური დეპარტამენტიდან შესაძლოა იქნას წაკითხული სხვადასხვა პროფესორის მიერ, ერთი შესაძლოა იყოს ტიპიური მენეჯმენტის მიმართულება, რომელიც ბიზნესის ადმინისტრირების ქოლგის ქვეშ ერთიანდება ხოლო მეორე ფსიქოლოგიის მიმართულება, რომელიც შესაძლოა ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ქოლგის ქვეშ იყოს. ორი სხვადასხვა დეპარტამენტის პროფესორები შესაძლოა რომ ერთ საგანს კითხულობდნენ და ეს არის შიდა კონკურენციის და არჩევითობის თემა.

საინიაციატივო ჯგუფის წევრის, დავით ნარმანიას განმარტებით, ეს პროცესი წელიწადნახევრის წინ დაიწყო, სასურველი იყო გლობალური ტიპის მენეჯმენტის კათედრის შექმნა, რაზედაც შეთანხმდნენ რომ გარკვეული პერსონალის კათედრის გადაყვანა მოხდებოდა ზემოთ აღნიშნულ კათედრაში. ახალი კათედრა უნდა შექმნილიყო და დაკომპლექტებულიყო ახალი საგნებით და ახალი მიმართულებებით, დღეს მისი განმარტებით კათედრას ჰქვია ერთი სახელი და შიგნით განვითარებული მოვლენები არის საერთოდ განსხვავებული, სწორედ ამიტომ მისი მოსაზრებით საბჭოს მხრიდან ამ საკითხზე მსჯელობა უნდა ყოფილიყო შესაძლებელი, თუნდაც იმის სანაცვლოდ რომ კათედრას გადაერქვას სახელი ან შეიქმნას ახალი პროგრამები, რომელიც საერთაშორისო მართვასთან იქნება დაკავშირებული.
ერთ ფაკულტეტზე დუბლირებები მიზანშეუწონლად შეაფასა და აღნიშნა,რომ სტუდენტებს არჩევის საშუალება არ ეძლევათ, მათ ენიჭებათ მხოლოდ ფორმალური არჩევის განხორციელების საშუალება. მან ისაბურა იმაზეც, რომ ის იდეა, რაც თავშივე იყო ჩადებული - ახალი მიმამრთულებების განვითარება საერთაშორისო მენეჯმენტის კუთხით, არ განვითარებულა, რაც წერილობითაც არის დადასტურებული. წელიწადნახევრის განმავლობაში არ შექმნილა არც ახალი სილაბუსი, არც ახალი პროგრამა, მისი განმარტებით არცერთი ახალი მიმართულება არ განვითარებულა.

სხდომის თავმჯდომარის, წევრის დიმიტრი გეგენავას განმარტებით, არსებობს პრობლემის აღმოფხვრის ერთადერთი გზა, ეს არის ფაკულტეტის საბჭო ამის შემდგომ აკადემიური საბჭოს და წამომადგენლობითი საბჭოს გაერთიანებული სხდომა. ანუ ეს საკითხი უნივერისტეტში უნდა გადაწყდეს.

დაწესებულების წარმომადგენლის, გიორგი ღაღანიძის განმარტებით, პროგრამის ცვლილებების საკითხი განიხილეს ფაკულტეტის საბჭოზე და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, 28 წევრმა დადებითად მიიღო ცვლილებები (მხოლოდ 2 წინააღმდეგი). ხოლო წარმომადგენლობით საბჭოზე 52 წევრიდან 52-მა დაუჭირა მხარი. მისი მოსაზრებით აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე არ უნდა მიმდინარეობდეს აღნიშნული საკითხის განხილვა და სწორედ ამიტომ არ აკეთებს სხვა განმარტებას, ხოლო რეკომენდაციების შესახებ მან ისაუბრა.

სხდომის თავმჯდომარის, წევრის დიმიტრი გეგენავას განმარტებით, ეთანხმებოდა დაწესებულებას, მსგავსი საკითხების განხილვის უფლებამოსილება არ აქვს საბჭოს, მსგავსი საკითხების განხილვა უნდა მოხდეს ფაკულტეტისა და წარმომადგენლობით საბჭოზე. ამის

შემდგომ შესაძლებელი იქნება დავა გაგრძელდეს სასამართლოში. საუბრის დასასრულს უსურვა მხარეებს ერთმანეთთან ინტერესების დაახლა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:14

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახურლი შეფასებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -13
წინააღმდეგი -0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:
ა) რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში ისწავლებოდეს საერთაშორისო პროექტების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფდა მოდულის ფარგლებში მისაღწევი შედეგების უკეთ გამომუშავებას.
ბ) რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში მეტი სიზუსტით მოხდეს სწავლის შედეგების გაწერა და ისეთი სახით ფორმულირება, რომ შესაძლებელი იყოს გაწერილი შედეგების მეტად გაზომვა და შეფასება.
გ) სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების უფრო მეტად გათვალისწინების მიზნით რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში არსებული კონკრეტული სასწავლო კურსების შემთხვევაში შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული იყოს არა მხოლოდ ტესტური ტიპის შეკითხვები, განსაკუთრებით სასწავლო კურსებში, რომლითაც განსაზღვრულია ისეთი სწავლის შედეგების მიღწევა როგორიცააანალიზი, შეფასება, დასკვნების შემუშავება და ჩამოყალიბება, კონცეფციის ჩამოყალიბება, არგუმენტირება, სტრუქტურის დახვეწა, ცვლილებების გატარება, შედეგების ფორმულირება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -13
წინააღმდეგი -0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:
ა) რეკომენდირებულია “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი” მოდულის ფარგლებში ისწავლებოდეს თანამშრომელთა შეფასების მოდელებთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლებელია საკითხები გაერთიანებული იყოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა“ ფარგლებში, რაც უზრუნველყოფდა მოდულის ფარგლებში მისაღწევი შედეგების უკეთ გამომუშვებას;
ბ) რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლიური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები მიეთითოს დამატებით ლიტერატურაში;
გ) რეკომენდებულია, რიგ შემთხვევებში, მეტი სიზუსტით მოხდეს სწავლის შედეგების გაწერა და ისეთი სახით ფორმულირება, რომ შესაძლებელი იყოს გაწერილი შედეგების მეტადგაზომვა და შეფასება.
დ) სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების უფრო მეტად გათვალისწინების მიზნით რეკომენდირებულია მოდულის ფარგლებში არსებული კონკრეტული სასწავლო კურსების შემთხვევაში შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული იყოს არა მხოლოდტესტური ტიპის შეკითხვები, განსაკუთრებით სასწავლო კურსებში, რომლითაც განსაზღვრულია ისეთი სწავლის შედეგების მიღწევა, როგორიცაა „პროცესის ინიცირება და დანერგვა“, „კომპანიის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება“, „ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტთან შესაბამისობაში მოყვანა“, „მრავალმხრივი ანალიზისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება“, „კვლევითი პროექტის შექმნა და დამოუკიდებელი კვლევა-ანალიზი“.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3.მესამე საკითხი

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" „საზოგადოებრივი ურთიერთობების“ და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიატციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ურთიერთობები და კომუნიკაციის ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №46 11/12/2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი, 0321
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი №67
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა გააკეთა განმარტება შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" „საზოგადოებრივი ურთიერთობების“ და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით. 2020 წელს უარი ეთქვა აკრედიტაციაზე, რაც შემდეგ დაწესებულებამ სააპელაციო საბჭოში გაასაჩივრა. სააპელაციო საბჭომ კვლავ აკრედიტაციის საბჭოს დაუბრუნა ხელახალი განხილვისთვის. ერთ-ერთ წინა საბჭოზე აკრედიატციის საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ უზრუნველეყო დამოუკიდებელი, მოწვეული დარგის ექსპერტებს შეესწავლათ საკითხი და გაეკეთებინათ განმარტება პროგრამასთან და კვალიფიკაციის შინაარსთან დაკავშირებით. ცენტრმა აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყო შესაბამისი კვალიფიკაციის დარგობრივი ექსპერტების მოწვევა, რომელთაც მოამზადეს და წარადგინეს პროგრამასთან და კვალიფიკაციის შესაბამისობასთან დაკავშრებით დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.
ექსპერტმა ნინო ჟალაღანიძემ აღნიშნა, რომ იზიარებდა რა საკითხის მნიშვნელობასა და სირთულეს, შეეცდება მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეყრდნობოდეს აკადემიურ წყაროებს, მეცნიერულ ხედვებსა და მასობრივი კომუნიკაციის სწავლების არსებულ გამოცდილებას.
დასაწყისისთვის მოკლედ სურდა წარმოედგინა სფეროს არსის შესახებ ინფორმაცია, ხოლო მოგვიანებით თავად პროგრამასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაზე მოახსენებდა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას.
ტერმინი „მასობრივი კომუნიკაცია“, ისევე, როგორც ტერმინი „მასმედია“ მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. ეს ახალი სოციალური ფენომენი ეფუძნებოდა ინდუსტრიალიზმსა და სახალხო დემოკრატიას.
მასმედია (უფრო სწორად კი _ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები) იმ დროისთვის აღნიშნავდა დიდ მანძილზე ინფორმაციის სწრაფად გადამცემ, კარგად ორგანიზებულ, ღია საკომუნიკაციო საშუალებებს. მასობრივი ინფორმაციის ადრეული საშუალებები (გაზეთები, ჟურნალები, ფონოგრამა, კინო და რადიო) სწრაფად ვითარდებოდა. მეოცე საუკუნის შუა პერიოდში მათ ტელევიზია, ხოლო შემდეგ ციფრული მედია დაემატა. მასობრივი კომუნიკაციის ძირითად ელემენტია მისი უნარი, სწრაფად გადასცეს ინფორმაცია მთელ მოსახლეობას; შექმნას საზოგადოებრივი აზრი და გაართოს.
მასობრივი კომუნიკაციის არხებსა და ტექნიკურ გამტარებში მიედინება ახალ მედიაში წამოქმნილი ნაკადები (განსაკუთრებით ინტერნეტსა და მობილურ ტექნოლოგიებში) და შინაარსის ახალი ნაირსახეობები. განსხვავება შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ - დღეს მასობრივი კომუნიკაცია არის ბევრად ფართო, ნაკლებად სტრუქტურირებული, უფრო მეტად ინტერაქტიური და უფრო მეტად პირადი ან ინდივიდუალიზებული.

ვუახლოვდები კურიკულუმის შინაარსს:
როდესაც მასობრივ კომუნიკაციაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია, გავიაზროთ, რომ ეს არის მრავალშენაკადიანი სფერო, აერთიანებს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებით შექმნილი შეტყობინებების წარმოებისა და რეპროდუცირების პროცესს, რომელთა გადაცემაც ხდება შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით: პერიოდული გამოცემებით, სამაუწყებლო საშუალებებით: რადიო-ტელევიზით, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით, ასევე, მისი ერთი ნაწილია საზოგადოებასთან ურთიერთობები (სხვანაირად, საზოგადოებრივი ურთიერთობები, იგივე PR) პოპკულტურა, კინო, წიგნი და სხვ.
ყურადღებით გაეცნო შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მასალებს.

1. წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფართო სპექტრის საკითხებს მოიცავს, თუმცა, უმეტესწილად ორ კონცენტრაციაზეა ფოკუსირებული, ესაა ფსიქოლოგია და საზოგადოებრივი ურთიერთობები. ამ მიმართებით, სავსებით შესაბამისია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაც: „საზოგადოებრივი ურთიერთობები და კომუნიკაციის ფსიქოლოგია“.

- სადავო არ იქნებოდა წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება, რომ არა სავალდებულოდ გასათვალისწინებელი წესი: სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, მე-6 პუნქტი ითვალისწინებს რეგულაციას, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება უნდა განისაზღვროს პროგრამის მიზნების შესაბამისად.

ლოგიკურია, რომ პროგრამის მიზანი უნდა ეხმიანებოდეს კვალიფიკაციას და იმგვარად უნდა იყოს ფორმირებული, რომ მასში ჩანდეს განაცხადი კვალიფიკაციის მიღწევისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროგრამის დასახელება მიზნის შესაბამისი უნდა იყოს, ამიტომ, იგი კავშირშია ასევე მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებასთან. დასახელება კი არ უნდა იყოს დაინტერესებული მხარის (აბიტურიენტის) შეცდომაში შემყვანი.

- საყურადღებოა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: "მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი", რომელიც ეროვნული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, 0321 დეტალურ სფეროში წარმოდგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პროგრამას ამ სფეროში მიენიჭოს კვალიფიკაცია, ის უნდა ეხმიანებოდეს სფეროს აღმწერს, რაც არის განზოგადებული 0321 ჟურნალისტიკისა და რეპორტიორობის სფეროში: შეისწავლის ჟურნალისტიკის/რეპორტიორობის თეორიასა და პრაქტიკას.
რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილს, ის შედის 0414 სფეროში: მარკეტინგისა და რეკლამის სამაგისტრო დონის სვეტში.
მოწოდებული დოკუმენტაცია (პროგრამა, სილაბუსები, პერსონალის შესახებ მონაცემები, თვითშეფასების ანგარიში, აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოს სხდომების ოქმები და სხვ). საშუალებას იძლევა, რამდენიმე გენერალურ საკითხზე განსაკუთრებულად გავამახვილოთ ყურადღება.

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საინტერესოა, მოიცავს ფართო სპექტრის საკითხებს, თუმცა, ცალსახაა, რომ კვალფიკაციის შესაბამის საკითხებზე ნაკლებადაა

ფოკუსირებული. ერთი მხრივ, ინტეგრალური ხედვა, მით უფრო, სწავლების პირველ სემესტრებში, სტუდენტისთვის განათლების ფართო თვალსაწიერის უზრუნველყოფისთვის ცუდი სულაც არ არის, თუმცა მეორე მხრივ, თუკი გავითვალისწინებთ, რომ (პროგრამის ძირითადი არანაკლები 120 კრედიტი უნდა იყოს პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის განმსაზღვრელი), ცხადი ხდება გარკვეული თემატურიდეფიციტი.ასე, მაგალითად, კურიკულუმში არაა გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები/სასწავლო კურსები, როგორიცაა:

- მასობრივი კომუნიკაციის სისტემა;
- ძირითადი საკომუნიკაციო არხების: ბეჭდური მედიის (გაზეთი, ჟურნალი), სამაუწყებლო მედიის (რადიო, ტელევიზია), ციფრული მედიის (ონლაინმედია, ბლოგოსფერო, სოციალური ქსელები, მობილური მედია და სხვ.) სასწავლო კურსები.

1. წინა თემის გაგრძელების სახით აღვნიშნავთ, რომ მოწოდებული დოკუმენტაცია (პროგრამა, თვითშეფასების კითხვარი) არ შეიცავს ინფორმაციას აღნიშნული კურსების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსზე.

თვითშეფასების ანგარიშში, მატერიალური რესურსის შესახებ არსებობს ჩანაწერი, რომ „უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა პროგრამის განსახორციელებლად,“ თუმცა უპირატესად, ის კომპიუტერულ ტექნიკას შეეხება. ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია სასწავლო სტუდიების, სამონტაჟო კაბინეტების, ნიუსრუმისა და ა.შ. შესახებ.
გვხვდება კიდევ ერთი ჩანაწერი: უნივერსიტეტს "გაფორმებული აქვს მემორანდუმები დარგის წამყვან ორგანიზაციებთან და ისეთ კომპანიებთან, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულება პროფესიონალურ დონეზეა განვითარებული". დოკუმენტაციას ახლავს მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით, თუმცა ჩვენ ვერ მოვიძიეთ ურთიერთთანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მედიასაშუალებებთან, რაც ცხადყოფდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში არაა პრაქტიკის განხორციელებისთვის შესაბამისი ადგილობრივი ბაზა, ეს პრობლემა სხვაგვარადაა მოგვარებული. აღნიშნული რესურსის გარეშე კი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შეუძლებელია.

1. აღნიშნულის საპირწონედ, კურიკულუმის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკი დატვირთულია ცალსახად საინტერესო, მაგრამ კვალიფიკაციის მინიჭების თვალსაზრისით, ნაკლებად მნიშვნელოვანი დისციპლინებით, რომლებიც ფსიქოლოგიასთან მეტადაა ბმაში, ვიდრე საძიებო კვალიფიკაციასთან: კომუნიკაციის ფსიქოლოგია, აღქმის აუდიო-ვიზუალური საფუძვლები, კომუნიკაციის საფუძვლები, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, ფსიქოლინგვისტიკის საფუძვლები და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ფოკუსი უშუალოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებს უკავშირდება და სავალდებულო სასწავლო კურსების მეორე თემატური კონცენტრაციაც სწორედ აქედან გამომდინარეობს: PR სტრატეგია და ტაქტიკა, ეფექტიანი წარდგენის ტექნიკა, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები, საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი, ბიზნეს კომუნიკაცია, ორატორული ხელოვნება და სხვ.
ამ ფონზე ფრაგმენტულია ის რამდენიმე საგანი, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის ძირითად სფეროს: ჟურნალისტიკას უკავშირდება. ასეთი სასწავლო დისციპლინები სავალდებულო

კურსების ბლოკში ნაკლებადაა წარმოდგენილი და სულ რამდენიმე საგნით შემოიფარგლება: მასკომუნიკაციის თეორია, პოლიტიკური ჟურნალისტიკა, მედიამონიტორინგი.
აღნიშნული საგნების კურიკულუმში ჩართვის ლოგიკა კითხვის ნიშნებს ბადებს. გაუგებარია, რა პრინციპით ისწავლება პოლიტიკური ჟურნალისტიკა და არ ისწავლება სხვა სფეროების: ეკონომიკის, გენდერის, სოციალური სახითხებისა თუ სხვ. გაშუქება. არ ისწავლება თავად გაშუქების პრინციპები: რეპორტინგის საფუძვლები.
ასევე, გაუგებარია კურიკულუმში ბიზნეს ეთიკის კურსის სავალდებულოდ სწავლება, როცა გათვალისწინებული არაა მედიაეთიკის ნაწილი, მედიასამართალი კი თავისუფალ კრედიტადაა შემოთავაზებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრმა შეიძლება ისე მიიღოს დიპლომი, რომ მასობრივი კომუნიკაციის სამართლებრივ საკითხებს ერთი სასწავლო კურსის ფარგლებშიც არ შეეხოს.
ამდენად, ერთ-ერთი მთავარი რჩევა და რეკომენდაცია, რომელიც პროგრამის ოპტიმიზაციას უკავშირდება, არის მასობრივი კომუნიკაციის სფეროს გაძლიერება; სავალდებულო სასწავლო დისციპლინების ბლოკში ზემოჩამოთვლილი საგნების გაჩენა და მეორეული მნიშვნელობის კურსების არჩევით ან თავისუფალ კომპონენტებად გატანა.

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაში გავეცანით განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციას. საგანგებოდ არ შევეხებით საკითხს იმის შესახებ, რომ

პროგრამაში ჩართული პერსონალის სრული უმეტესობა მოწვეული კადრებისგან შედგება.
საყურადღებოა მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. წარმოდგენილი CV-ებით დასტურდება, რომ პროფესორ-მასწავლებლების, თითქმის, სრული უმეტესობა არ არის მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტი. მათი ავტობიოგრაფიული მონაცემები, ერთეული შემთხვევების გარდა, არ შეიცავს ინფორმაციას დარგში შესრულებული სამეცნიერო სტატიების, კვლევების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების შესახებ. უმრავლესობას (ერთეული გამონაკლისების გარდა) არ აქვს დოქტორის ხარისხი, ხოლო ვისაც აქვს, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საძიებო კვალიფიკაციის შესაბამისი არაა.
დარწმუნებით აღვნიშნავთ, რომ პერსონალი მრავალმხრივი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, თუმცა მათი განსხვავებული კვალიფიკაციები (ინგლისური ენის სპეციალისტი, ფსიქოლოგი, სოციოლოგი, ბიზნეს-ადმინისტრირების სპეციალისტი, სამართალმცოდნე, ფილოსოფოსი და სხვ. და სხვ.), ასევე, დარგში საქმიანობის გამოცდილება და/ან სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა არ იძლევა იმის თქმის საბაბს, რომ წარმოდგენილი პროგრამა გავა დასახულ შედეგებზე და საძიებო კვალიფიკაციის სპეციალისტებს მოამზადებს.
ამ ნაწილში, რეკომენდაცია იქნება: გაიწეროს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობიდან (როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული), რამდენია დარგობრივი (მასობრივი კომუნიკაციის) სპეციალისტი და რამდენი - სხვა სფეროების წარმომადგენელი. აღნიშნული მონაცემები კიდევ ერთხელ ცხადყოფს პროგრამულ საჭიროებებს და პროგრამის მესვეურებს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო რესურსის მოძიებაში დაეხმარება.

ამგვარად, ის სირთულეები, რომლებიც რეალურად არსებობს და ჩვენ შევეცადეთ, მეტ-ნაკლებად ცხადად აგვესახა წარმოდგენილ დასკვნაში, პირდაპირ არ არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო პერსპექტივასთან. ძირითადი პრობლემა მეთოდოლოგიურ ხარვეზებს უკავშირდება და კორექტირებას ცალსახად საჭიროებს, რადგან ყოველი ჩვენგანის მთავარი მიზანი: სტუდენტების მომავალი სწორედ ამაზეა დამოკიდებული.
პროგრამის და კვალიფიკაციის შესახებ საექსპერტო დასკვნა წარმოადგინა აკრედიტაციის საბჭოზე მოწვეულმა ექსპერტმა, ლელი ბიბილაშვილმა, რომელიც არის შპს საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მასობრივი კომუნიკაციების დოქტორი.

ლელი ბიბილაშვილმა აღნიშნა, რომ „ალტერბრიჯის“ მიერ წარმოდგენილი პროგრამის „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ისევე, როგორც ეს პროგრამის დასახელებაშიც იკვეთება მეტად ორიენტირებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის მომზადებაზე. აღნიშნული ვიწრო სპეციალიზაცია ეროვნული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის სამაგისტრო სვეტს უკავშირდება, სხვა დეტალურ სფეროშია „საზოგადოებრივი ურთიერთობები“ (0414 მარკეტინგი და რეკლამა - 0414.2.1.), ხოლო მასობრივი კომუნიკაცია სხვა დეტალური სფეროა - ვიწრო სფერო - 032 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია, დეტალური სფერო - 0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, სწავლის სფერო - 0321.1.2 მასობრივი კომუნიკაცია.

აქვე მნიშვნელოვანია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად დაზუსტდეს პროგრამის დასახელება, მოვიდეს დასახელება მიზანთან, ხოლო თავის მხრივ მიზანი მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სხვა შემთხვევაში ის პოტენციურად დაინტერესებული აბიტურიენტისთვის შესაძლოა გახდეს შეცდომაში შეყვანის მიზეზი, ასევე, პროგრამის დასახელება ფსიქოლოგიის კომპონენტსაც მოიცავს და უფრო ინტერდისციპლინურ აღქმას ქმნის, მაშინ როცა მისანიჭებელი კვალიფიკაცია მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრია. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში განსაზღვრული კვალიფიკაცის „მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი“ - ს მისანიჭებლად საჭიროა პროგრამის ძირითადი საგნების გამრავალფეროვნება და აღნიშნულ სფეროსთან შესაბამისობაში მოყვანა, რადგან მასობრივი კომუნიკაციები თავისი არსით წარმოადგენს უფრო ფართო სფეროს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს იმ მექანიზმების და მედია საშუალებების სწავლებას, რაც უზრუნველყოფს მასობრივ აუდიტორიამდე ინფორმაციის მიწოდებას და მასზე ზეგავლენას, მათ შორის, მედიის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, რეკლამის, ციფრული კომუნიკაციების მიმართულებებს. საზოგადოებასთან ურთიერთობა კი თავის მხრივ, არის მასობრივ კომუნიკაციებში ცალკეული ვიწრო მიმართულება, რომელიც დაგეგმილი აქტიობებისა და ღონისძიებების/კამპანიების ფარგლებში ორიენტირებულია ორგანიზაციასა და მის შიდა და გარე მიზნობრივ სეგმენტებს შორის ორმხრივად სასარგებლო კომუნიკაციის ჩამოყალიბებაზე, ცნობადობის, რეპუტაციისა და იმიჯის ფორმირებაზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის კონკრეტული ფუნქციებს შორისაა კვლევა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კამპანიების დაგეგვა კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფებისთვის (ასე მაგალითად, შესაძლოა მიზანი იყოს ბანკის სანდო იმიჯის ჩამოყალიბება კონკრეტულ მიზნრობრივ აუდიტორიასთან), შიდა ურთიერთობები, ლობირება, მულტიმედიური პროექტების მომზადება, მედიასთან ურთიერთობა, ღონისძიებების დაგეგმვა/ორგანიზება, სოციალური მედიის მენეჯემენტი, კრიზისული კომუნიკაცია, ე.წ. „ქონთენთის“ შექმნა, „ქოფირაითინგი,“ მარკეტინგული კომუნიკაციები, ბრენდის საკომუნიკაციო სტრატეგია და სხვა.

შესაბამისად, იმისთვის რომ წარმოდგენილი პროგრამის კურსდამთავრებული გავიდეს მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციაზე, რეკომენდირებულია პროგრამის ძირითად საგნებად ისწავლებოდეს შემდეგი საკითხები:

- მეტი აქცენტირება მოხდეს მედიის შინაარსზა და მნიშვნელობაზე, სასწავლო კომპონენტში „მასკომუნიკაციის თეორია“ გარკვეული საკითხები დაფარულია, თუმცა, უფრო მეტად ხაზგასმულია მედიისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება, ძალიან მნიშვნელოვანია ცალკე კომპონენტის სახით მოხდეს შეთავაზება თავად მედიისა არსსა და მნიშვნელობაზე, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები მიიღებენ ცოდნას მედიის 9 პრინციპზე: სიმართლის, საზოგადოების ერთგულების, გადამოწმების, დამოუკიდებლობა სხვადასხვა წყაროსგან, ხელისუფლების დამოუკიდებელი მაკონტროლებლის, საჯარო კრიტიკისა და მსჯელობის, მიმზიდველობისა და ადეკვატურობის, ყოველმხრიობისა და პროპორციულობის, სინდისის პრინციპის მნიშვნელობის ცოდნა და ზოგადი წარმოდგენა შეექმნებათ წყაროებზე და წყაროებთან მუშაობის პრინციპებზე;

- ციფრული კომუნიკაციები აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს მასობრივი კომუნიკაციების ფართო სფეროს სწავლების შემადგენელ კომპონენტს, არა მხოლოდ სოციალური მედიის კამპანიების დონეზე, არამედ, მნიშვნელოვანია სოციალური მედია ანალიტიკისა და ისეთი საკითხები ცოდნა, როგორიცაა ფასიანი ძიების თავისებურებები, მისი მართვა, საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის თავისებურებები.
- ძალიან მნიშვნელოვანია ცალკე კომპონენტად იყოს შეთავაზებული სხვადასხვა საკომუნიკაციო არხისთვის შინაარსის - ე.წ. ქონთენთის წერისა და მომზადების თავისებურებები, მათ შორის სამიზნე აუდიტორიისთვის მესიჯის მიწოდების თავისებურებები, ე.წ. ამბის თხრობის გამოყენების ტექნიკები, ვიდეო ქონთენთის მომზადების თავისებურებები, ინტერნეტ მედიაში/სოციალურ მედიაში მომხმარებლის ყურადღების მიქცევის პრინციპები,ბლოგისთვის კონტენტის მომზადების თავისებურებები.
- მნიშვნელოვანია ისწავლებოდეს მედია აუდიტორიის ანალიზი და მისი თავისებურებები, მომხმარებელთა ქცევა, რომელიც პროგრამის თავისუფალ კომპონენტში გვხვდება მეტად მარკეტინგულ კონტექტს ატარებს, ვიდრე მასობრივი კომუნიკაციების.
- პროგრამის ძირითად საგნად პიროვნების ფსიქოლოგიის არსებობა რეალურად არ მონაწილეობს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებაში, მის ნაცვლად შესაძლოა არჩევით ბლოკში და არა ძირითად ნაწილში, შეთავაზებული იყოს მასების ფსიქოლოგია ან ჯგუფის ფსიქოლოგია ან გავლენის ფსიქოლოგია, რაც უფრო რელევანტური იქნება მასობრივ აუდიტორიაზე ზეგავლენებისა და მედია ეფექტების შესწავლის კუთხით.
ამასთანავე, „პიროვნების ფსიქოლოგიის“ საგნის სრულფასოვნად ასათვისებლად მნიშვნელოვანია ზოგადი ფსიქოლოგიის, ფსიქიკური პროცესების და ფსიქოლოგიის საბაზისო ცნებების ცოდნა, რაც პროგრამაში არ არის მოცემული.
- აქვე აღსანიშნავია საგან „პოლიტიკურ ჟურნალისტიკასთან“ დაკავშირებით შემდეგი: დიდწილად აღნიშნული საგანი მეტად წარმოადგენს პოლიტიკის შესავალს, ვიდრე ჟურნალისტურ კომპონენტს, თუ ჟურნალისტური კომპონენტი და პოლიტიკის და არჩევნების გაშუქების შესწავლაა ამოცანა, მაშინ კურსი არ პასუხობს საჭირო მოთხოვნებს, თუ პოლიტიკური საკითხების შესახებ წარმოდგენების შექმნა, როგორს ეს სილაბუსიდან იკვეთება - მაშინ კურსის სათაური არ არის რელევანტური. ასევე, თუ გაშუქების სპეციფიკაა მნიშვნელოვანი, მაშინ სტუდენტებს მანამდე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ახალი ამბების, სიღრმისეული წერის და გაშუქების პრინციპები შეისწავლონ და შემდეგ მოხდეს დარგობრივი და თემატური გაშუქების შესწავლა. კურსის სილაბუსიდან ჩანს, რომ კურსი ორიენტირებულია პოლიტიკის მეცნიერებების საბაზისო ცოდნის მიწოდებაზე.
- ძალიან მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში მედია მონიტორინგის პროგრამების გამოყენება, აღნიშნული კურსი პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული კურსია და შესაბამისი პლატფორმების გარეშე არ იქნება შედეგიანი.
- ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მულტიმედიური პროდუქტების, ვიდეო ქონთენთის შექმნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით, მათ შორის სამონტაჟო პროგრამის უზრუნველყოფით - Adobe Premiere, ასევე, მასკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული მნიშვნელოვანია ფლობდეს ისეთ პროგრამებში მუშაობას, როგორიცაა Adobe Illustrator, Photoshop.
- აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება მასობრივი კომუნიკაციების მიმართულებით, ძირითადად წარმოდგენილია ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების ლექტორები. ასევე, სასურველია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა და მხოლოდ ერთ კონკრეტულ ლექტორზე არ იყოს მიბმული კურსები.
- სასურველია დარგობრივად გამრავალფეროვნდეს პროგრამის ე.წ. თავისუფალი კომპონენტი, ისეთი შესაძლო კურსებით, როგორიცაა ივენთ მენეჯმენტი, მედია დაგეგმარება, იმიჯისა და რეპუტაციის მართვა, მედიასთან ურთიერთობის თავისებურებები და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა, ნათია გოცაძემ აღნიშნა, რომ მათ შთაბეჭდილება დარჩათ რომ თითქოს საუბარი იყო ჟურნალისტიკის პროგრამაზე და არა მასკომუნიკაციაზე. მასკომუნიკაციის ფუნქციებზეც გაამახვილა დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება, მის პირველად ფუნქციად დაასახელა საინფორმაციო ფუნქცია, სოციალური კავშირი, მიმღებლობის უზრუნველყოფა, რეკრეატიული ფუნქცია და მობილობის ფუნქცია. საუბრობდა საგანმანათლებლო ბაზარზე როგორ იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამები, ის თუ რა კვალიფიკაციაში გადიოდა აღნიშნული. ყველა საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა არის კვალიფიკაციით სოციალური მეცნიერებები, დასვა კითხვა თუ რატომ არ იყო 0414-ის ქვეშ, მიზეზად კი დაასახელა ის, რომ აღნიშნული უკვე იყო სოციალური მეცნიერებები. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ექსპერტები იყვნენ ჟურნალისტიკის მიმართულების სპეციალისტები.

ასევე აღნიშნა, პოლიტიკური ჟურნალისტიკა, რომელსაც მისი თქმით კითხულობს მარიამ გოგოსაშვილი, რომელიც არის საქართველოს ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტიის თავმჯდომარე. მან თქვა,რომ ამ ინფორმაციის დამუშავება ექსპერტებს მოუწიათ ხისტი ინფორმაციის საფუძველზე, როგორებიც იყო: თვითშეფასების დოკუმენტი, სილაბუსები, მემორანდუმები, რომლებიც გაფორმებული იყო მანამ სანამ ეს პროცესი დაიძრებოდა. ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა მისი განცხადევით, მაშინ როდესაც პანდემიის გამო ფაქტობრივად გაჩერებული იყო უნივერსიტეტი. მან აღნიშნა,რომ ისინი არ განიხილავდნენ ახალ პროგრამას, რომელიც აქვს თსუ-ს ან საქართველოს უნივერსიტეტს, არამედ საქმე ეხებოდა სრულიად ახალ პროგრამას. ეს მისი თქმით არის უპრეცენდენტო რამ. მან ასევე ყურადღება გაამახვილა ექსპერტების განმარტებაზე, იმის შესახებ რომ არ იცოდნენ ინფრასტრუქტურულად იყო თუ არა სამონტაჟო დაწესებულლებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა სთხოვა გაცნობოდნენ ავტორიზაციის დასკვნას და აღნიშნულ კითხვას თავად გასცემდნენ პასუხს. პროგრამის შეფასება მოხდა ივნისში, მათ აღნიშნეს რომ ყველა პერსონალს სახლში გაატანეს კომპიუტერები, სამონატაჟო და მიქშერები.

დაწესებულებამ ასევე ყურადღება გაამახვილა მემორანდუმებზე, მათი თქმით პანდემიის მიზეზით მართლაც იქნა გააჩერებული არაერთი მემორანდუმი. მან შესთავაზა ინფორმაციის გაზიარება ისეთი ორგანიზაციების მემორანდუმების შესახებ, სადაც პრაქტიკულ კომპონენტში ყველა იმ საკითხს, რაზედაც კითხვის ნიშანი იქნა დასმული, გააქარწყლებდა. მან ასევე აღნიშნა, ისიც რომ რა ინფორმაციასაც ექსპერტები გაეცნენ, იყო მანამდე მოცემული მდგომარეობა.

პერსონალთან დაკავშირებული რეკომენდაცია დაწსესებულების განმარტებით მისაღებია, თუმცა დღევანდელ დღეს უკვე ექვსი დამატებითი დარგის აფილირებული პროფესორი ჰყავს უნივერსიტეტს. მან ასევე თქვა, რომ აუცილებელია ჰქონდეს ინსტიტუციას ამ პროცესებების დაწყების საშუალება.

იგი შეეხმიანა შემდგგ გამოთქმულ აზრს, - პროგრამის შინაარსი უნდა იყოს პროგრამის მიზანთან შესაბამისობაში. მან მოიყვანა ციტირება “ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია-შეასწავლოს მასების მართვის ტექნოლოგია, საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაში, გარშემომყოფთა ქცევითი ანალიზი და სოციალურ გარემოსთან ადაპტაცია, მისცეს ზოგადი თეორიული წარმოდგენა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით გაშუქებული მოვლენების შეფასებისა და მედიამონიტორინგის შემადგენელი კომპონენტების შესახებ, შეძინოს გამოცდილება აუდიო ვიზუალური კომუნიკაციის მეთოდების, ქცევაზე მოქმედი ფაქტორებისა და პიროვნებათშორისი ურთიერთქმედებების პროცესების შესახებ, გამოუმუშავოს სწორი საკომუნიკაციო მესიჯების შერჩევის მიზნობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობის ეფექტური წარდგენისა და საკომუნიკაციო კამპანიის რეალიზების პრაქტიკული უნარჩვევები.’’ მან აღნიშნა,რომ

გაურკვეველია ამ მიზნებიდან რომელი არ მოდის შესაბამისობაში შინაარსთან. ან მასობრივ კომუნიკაციასთან, რომლის პირდაპირი მიზანია,რომ ამ კვალიფიკაციის მქონე ადამიანმა იცოდეს ის თუ როგორ შეადგინოს ინფორმაციის შინაარსი, და როგორ მიაწოდოს იმ საშუალებებს და არხებს, რომლის მეშვეობითაც ხდება ინფორმაციის გატანა.
უმაღლესი განათლების სისტემაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სფერო თუ არ ავა იმ პროფესიულ დონეზე რასაც მისი თქმით, ჰქვია მასობრივი კომუნიკაცები, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პიროვნებათშორისი ურთიერთობები, ყოველთვის იქნება ის სურათი რა სურათიც არის ამჟამად საქართველოში. მან ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ წინა კვირას ჩატარდა ასოციაციის გაფართოებული ვებინარი, სადაც განხილული იყო პირველადი შედეგები დარგობრივი კვლევისა და გამოჩნდა ის თუ, როგორ უყურებს საზოგადოება, მათ შორის PR სპეციალისტები ამ სფეროს. გამოიკვეთა ასევე მთავარი პრობლემა, რომელიც არის განათლება ამ სფეროს მიმართ. თუ არ იქნა ეს ყველაფერი მეცნიერულ დონეზე აყვანილი, ყოველთვის იქნება საშუალება იმისა, რომ საზოგადეობის აზრი ჩამოყალიბდეს ხისტი ინფორმაციის საფუძველზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დეტალური განხილვის სურვილი გამოთქვა იმის შესახებ თუ რამდენად გადის პროგრამაში არსებული ნებისმიერი საგანი სწავლის შედეგზე და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე. ასევე ისაუბრა პერსონალის რაოდენობის განზაღვრის მეთოდოლოგიაზე. დღეის მდგომარეობით, მისი განცხადებით, ორი კონკურსია ჩატარებული და დარგის ყველა სპეციალისტი არის აფილირებული. ალტერბრიჯი მათი თქმით არის მიმართული ამ ნიშის, მართვისა და კომუნიკაციის განვითარებისკენ მიმართული. 120-ის მაგივრად 132 კრედიტია, რომელიც გადის პირდაპირ დარგზე. რაც შეეხება მატერიალურ ტექნიკურ ბაზას, იქამდეც მიდიოდა და ახლაც მიმდინარეობს ჩაწერები. მან ასევე დაამატა ისიც, რომ სახელმწიფოს ძალიან სჭIრდება მოცემული დარგის განვითარება. ასევე ინსტიტუცია გამოეხმაურა, რომ არ შეესაბამებოდა სიმართლეს ექსპეტების განმარტება იმის შესახებ, რომ ერთი ადამიანი ჰყავდათ მიბმული საგანზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ყველა დამსწრე პირს გააჩნდა ერთი სამიზნე-სტუდენტისთვის - ხარისხიანი განათლების მიცემა. 2015 წლიდან დაინტერესდნენ აღნიშნულის შექმნით და იმდროიდან მათთვის ნათელი იყო, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა უნდა ისწავლებოდეს, სოციალური მეცნიერების მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე. მასკომუნიკაცია, როგორც ტრენდი უკვე მათი განმარტებით არის მასპერსონალური კომუნიკაცია, რომელიც იყენებს მასკომუნიკაციის საშუალებებს, რომ შევიდეს პერსონალურ დონეზე, რადგან ეს არის ისტორიაში პირველი პრეცენდენტი, როდესაც მასკომუნიკაცია არ არის ცალმხრივი კომუნიკაცია, არამედ ორმხრივი. ამ ორმხრივ კომუნიკაციას კი ის აწარმოებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მეშვეობით. როდესაც კითხვა ჩნდება მსგავსებას, განსხვავებასა თუ კავშირზე მასკომუნიკაციის და საზოგადოებრივ ურთერთობას შორის, მისი თქმით პასუხი არის ის, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა ეს არის მასობრივი კომუნიკაციის შემადგენელი კომპონენტი და მთლიანად მოიცავს კომუნიკაციას, ხოლო მასობრივი კომუნიკაცია ეს არის გაცილებით ფართო სფერო და ის მოიცავს, ინტერპერსონალურ კომუნიკაციას გარდა საზოგადოებასთან ურთიერთობისა, ასევე მოიცავს რეკლამას, პოლიტიკურ კომუნიკაციას და აშ.
აქედან გამომდინარე დაწესებულებას გაუჩნდა სურვილი და გაეცნენ საერთაშორისო პროგრამებს და იმას თუ როგორ არის საერთაშორისო მიდგომით საკვალიფიკაციო მოთხოვნები. რაზედაც პირდაპირ წერია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, რომელიც ბაზარს სჭირდება, შესაძლოა იყოს ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში, ბაკალავრი ჟურნალისტიკაში და საზოგადოებასთან ურთიერთობაში. ასევე მათ აქვთ საერთაშორიო ექსპერტის დასკვნა, რომლის მხრიდანაც მოწონებული იქნა პროგრამა, ეს ექსპერტი არის მასობრივი კომუნიკაციების საერთაშორიო ექსპერტი. ეს პროგრამა, დაწესებულების განმარტებით, სტუდენტს გაიყვანს იმ კვალიფიკაციაზე, რომელიც საერთაშორისოდ არის აღიარებული. მან ასევე საბჭოს გააცნო საერთაშორისო დონეზე აღიარებული მოთხოვნები, რომლებიც იყო: რეკლამის თეორიისა და საზოგადოებასთან

ურთიერთობებების მიდგომის ცოდნა, კრიზისის მართვაში მონაწილეობა, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სოციალურ-კულტურული გარემოს გაცნობიერება. რაც შეეხება პროფესიულ კომპეტენციებს ამავე მიმართულებით, რასაც მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრს შეიძლება მოვთხოვოთ, ეს არის :ურთიერთობები მედია და სარეკლამო სააგენტოებთან საკომუნიკაციო შეტყობინების ჩამოყალიბება, ხმის ტექსტის და ვიზუალის შერჩევა, ქცევის მოტივაცია და ეთიკის ნორმების დაცვა. მან საბოლო სიტყვაში აღნიშნა, რომ მათი მიზანია შექმნან მულტიდისციპლინური განათლების ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ საკომუნიკაციო შეტყობინების სწორი ჩამოყალიბება და მიზნობრივ აუდიტორიასთან სწორი ურთიერთობა.

მოწვეულმა ექსპერტმა, ნინო ჭალაღანიძემ აღნიშნა,რომ ის რომ დაწესებულებას თუ ფსიქოლოგია აქვს ეს ცუდი არაა პირიქით, მაგრამ ამ ეტაპისთვის არ აქვს დაწესებულებას ისეთი არსებითი უნარები და კომპეტენციები, რომელიც დასაქმებისთვის კონკურენტუნარიანს გახდის დასაქმებულს. 0321 დეტალურ სფეროში არის ორი სწავლის სფერო: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია. მასობრივი კომუნიკაცია არის მრავალშენაკადიანი სფერო, როგორც ჟურნალისტიკას მოიცავს, ისევე მოიცავს, პიარს, კინოს და პოპ კულტურას. თუკი ექსპერტების განმარტებით დაწესებულებამ ორიენტირი აიღო ფსიქოლოგიასა საზოგადოებრივი ურთიერთობების კუთხით დაისვა შეკითხვა თუ, რატომ მოახდინეს დანარჩენთა უგულებელყოფა.
საბჭოს თავმჯდომარის, ირაკლი ბურდულის განცხადებით, მათ იურიდიულად აქვთ უფლება მხოლოდ განიხილონ ექსპერტებთან ერთად ის დოკუმენტები, რომელიც წარმოდგენილია და ის, რაც აქვთ ხელთ. საუბარია დოკუმენტებზე, რომელიც არის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი, რომელზე დაყრდნობითაც აკრედიტაციის ექსპერტებმა შეიმუშავეს დასკვვნა. მისი თქმით, შეუიარაღებელი თვალით რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს პროგრამა რაღაც ახალს სთავაზობდა. მან ექსპერტებს სთხოვა განემარტათ, ამ სიახლის შეთავაზების ფონზე იმსახურებდა თუ არა პროგრამა იმას, რომ არსებობდეს. შესაძლოა ხარვეზები არსებობდა, თუმცა ხარვეზები შესაძლოა ბევრ სხვა პროგრამას ჰქონოდა. საბწოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს მათი კომპეტენტური აზრი დაეფიქსირებინათ საბჭოს წინაშე, რადგან საბჭო გადაწყვეტილებას ირებდა კომპეტენტური ექსპერტების დასკვნაზე დაყრდნობით. პროგრამისთვის უნდა ეთქვათ უარი, რომ ასეთი სახით პროგრამა არ ვერ იარსებებდა და სტუდენტების მოტყუება იქნებოდა. ან უნდა ითქვას, რომ ხარვეზების, შენიშვნების მიუხედავად შეიძლება სტუდენტმა ისწავლოს ამ პროგრამაზე, მაგრამ უნივერსიტეტს უნდა გამოესწორებინა ხარვეზები. საბჭოს თავმჯდომარემ ბოდიში მოიხადა პირდაპირობისთვის, მაგრამ ეს რომ ყოფილიყო იურისპრუდენცია, ან მომიჯნავე სფეროები, ასეთი შეკითხვეის დასმის საჭიროება არ გაჩნდებოდა.
რაზედაც მოწმეულმა ექსპერტმა, ნინო ჭალაღანიძემ განაცხადა, რომ იმ შინაარსით და იმ კვალიფიკაციის მქონე პერსონალით, რომლებიც პროგრამაში იყვნენ ჩართული, შედეგზე ვერცერთ შემთხვევაში ვერ გავიდოდნენ. ეს იყო გამორიცხული. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი დაასახელა, ის რომ მასმედიის კომუნიკაციის არცერთი სპეციალისტი არ ჰყავს დაწესებულებას. იგივე აზრი გაატარა მეორე მოწვეულმა ექსპერტმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრის ნიკა თიკანაშვილის განცხადებით, სტანდარტები თავდაპირველად შეუსაბამობაში არ იყო (იგულისხმება აკრედიატციის ექსპერტების მიერ მომზადებული თავდაპირველი დასკვნა). მან დასვა შეკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად იყო პროგრამის კურიკულუმი და ძირითადი ნაწილი 120 კრედიტი ორიენტირებული, იმაზე რომ მოამზადებინა მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტი, რომელიც შეძლებდა ინფორმაციის მიწოდებას მომხმარებლამდე.

ექსპერტი ნიკა გოგაური დაეთანხმა მოწვეული ექსპერტების პოზიციას და განმარტა, რომ 0414 და 0321 სწავლის სფეროების კვალიფიკატორის მიხედვით, სხვადასხვა დეტალური სფეროა და მათი გაიგივება რამდენად შეიძლება. განაცხადა ისიც, რომ ამ პროგრამაში თავად მასაც გაუჭირდა 120 კრედიტის დათვლა. საბოლოო დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ამ პერსონალით აღნიშნულ კვალიფიკაციაზე ვერ გავიდოდა ინსტიტუცია. მიზნები და სასწავლო კომპონენტები არ არის შესაბამისობაში.

დაწესებულების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით, არის სხვადასხვა დეტალური სფერო.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგნავამ დასვა კითხვა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში რატომ ეწერა მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაზუსტების შესახებ მოთხოვნა, საინტერესოა, თუ როგორ ხდებოდა კვალიფიკაციის მინიჭება.

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა, აღნიშნა, რომ სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით (რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69 ბრძანებით), მასობრივი კომუნიკაცია და ჟურნალისტიკა იყო ერთი დეტალური სფეროს, 0321 ჟურნალისტიკისა და რეპორტიორობის ქვეშ. ხოლო სწავლის სფერო არის - 0321.1.2 321.1.2ლო სწავლის სფერო არის - კ. შესაბამისად, აქ საუბარია ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის სწორ ფორმულირებაზე. დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ჰქონდა - მასობრივი კომუნიკაციების ბაკალავრი, სწორი იქნებოდა - მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი. რაც შეეხება თავად კლასიფიკატორს, და კვალიფიკაციის მინიჭების წესს. მან მოახდინა ციტირება სწავლის სფეროს კლასიფიკატორიდან, - „საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები) შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და ამ დეტალური სფეროს ხვედრითი წილი (შესაბამისი კრედიტების მოცულობის მიხედვით) 50%-ზე მეტია.“ ეს ნიშნავს, რომ დაწესებულებამ რომ შეიმუშაოს და განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყოს დეტალური სფეროს შესაბამისი, ამისათვის პროგრამის ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები), უნდა უკავშრდებოდეს დეტალურ სფეროს და მისი წილი უნდა იყოს 50%-ზე მეტი. თავად დეტალურ სფეროში არსებულ სწავლის სფეროების პროგრამებს, შინაარსის მიხედვით ერთი საერთო ქუდი უნდა ჰქონდეთ, და მათ უნდა აერთიანებდეთ დეტალური სფეროს აღმწერი. ეს დოკუმენტი, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, არ არის ეროვნულ დონეზე განცალკევებულად შემუშავებული მისი შედგენის საფუძველია ISCED, ((ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013, The International Standard Classification of Education (ISCED), რომელიც არის გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებზე დაყრდნობით შემუშავებული. ასე, რომ რომელი კვალიფიკაცია რას ითვალისწინებს აღმწერის ნაწილში, ეს არ არის ჩვენი გადაწყვეტილი (ეროვნულ დონეზე). ამას გარდა, არსებობს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის განახლების წესი, თუკი ვინმე ფიქრობს, რომ კვალიფიკაცია სხვა საკითხს შეისწავლის, უნდა მოხდეს კლასიფიკატორის განახლება შესაბამისი დადგენილი წესით.

დაწესებულება გამოეხმაურა ზეპირ მოსმენაზე გამოთქმულ მოსაზრებებს, და აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანატლებლო პროგრამა 62.5 პროცენტით გადიოდა მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე მასკომუნიკაციის თეორიით, სადაც ისწავლებოდა ისეთი საგნები როგორებიც იყო: კომუნიკაციის საფუძვლები, მედია მონიტორინგი, აუდიო ვიზუალური აღქმის საფუძვლები, საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი, პოლიტიკური ჟურნალისტიკა, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები, ეფექტიანი წარდგენის ტექნიკა, სოციოლოგიის საფუძვლები, პიარის სტრატეგია და ტექნიკა, ფსიქოლინგვისტიკა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. მან მიმართა საბჭოს, რომ განეხილა ეს საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:11
დასრულების დრო: 18:27

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
ü საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" საზოგადოებრივი ურთიერთობების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიატციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი -0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:

ა) პროგრამამ თავისი შინაარსით და კრედიტების რაოდენობით უზრუნველყოს პროგრამისმიზნების და დაგეგმილი შედეგების მიღწევადობა;
ბ) პროგრამამ თავისი სტრუქტურით უზრუნველყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორისშესაბამის დეტალურ სფეროსთვის დადგენილ პირობებთან და მისანიჭებელკვალიფიკაციასთან შესაბამისობა;
გ) პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან;
დ) პროგრამის განხორციელება უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიურმაპერსონალმა;
ე) საბაკალავრო პროგრამა გამრავალფეროვნდეს დარგში მოთხოვნადი სპეციალობებისმიხედვით. საუბარია ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო კურსებზე ;
ვ) მედიამონიტორინგის მიმართულებით მოხდეს სტუდენტებისათვის ბაზარზე არსებულიმედიამონოტორინგის პროგრამების სწავლება;
ზ) ჩაემატოს მედიადაგეგმარების კურსი;
თ) სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების მინიჭებისთვის,რეკომენდირებულია შეიცვალოს საბაკალავრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის წესი,კერძოდ სასწავლო პერსონალმა წინასწარ გამოაქვეყნოს არა ნაშრომის კონკრეტული თემები(სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში სტუდენტი დააკონკრეტებს თემის სათაურს;
ი) სასწავლო კურსების დიდ ნაწილში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები. ტექნიკურიხარვეზი გულისხმობს შეფასების ქულების რაოდენობის დაჯამების არითმეტიკულ შეჯამებას,საგამოცდო ზღვრების სწორად განსაზღვრას და სხვ.);
კ) გააზრებული იქნას სხვადასხვა პედაგოგის მიერ ერთი და იგივე ლიტერატურის (ერთი დაიგივე გვერდების/თემების) გამოყენების აუცილებლობა;
ლ) მოხდეს კურსის „შესავალი მათემატიკურ აზროვნებაში“ მოდიფიკაცია ისე რომ,შეესაბამებოდეს საბაკალავრო პროგრამის მიზნებს;

მ) საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში მითითებული იქნას ციტირების ტექნიკის დეტალები;
ნ) მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისგაძლიერება პროგრამის განხორციელების დროს და შექმნას სტუდენტების ჩართულობისმექანიზმები;
ო) გადაიხედოს სწავლა-სწავლის მეთოდები;
პ) რადგანაც პროგრამას სისტემატურად სჭირდება განვითარება, მნიშვნელოვანია გააზრებულიიქნას, რამდენად ეყოფა რესურსი უნივერსიტეტის რექტორს და ვიცე რექტორს აღნიშნულიპროგრამის მენეჯმენტზე და განვითარებაზე;
ჟ) აუცილებელია აფილირებული პროფესორების დარგობრივი პროფესორებით გაზრდა;
რ) მნიშვნელოვანია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უცხოურუნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, რათა მოხდესსტუდენტების ჩართვა საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პრექტებსა და სტუდენტთასაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
ს) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, როგორც პროგრამის შემუშავების პროცესშიპროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან კომუნიკაციით და მათიკონსულტირებით, ისე პროგრამის დასრულებული პროექტის შემოწმებით, უნდაუზრუნველყოს პროგრამის შინაარსის შესაბამისობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორისშესაბამის დეტალურ სფეროსთვის დადგენილ პირობებთან;
ტ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს პროგრამის სტრუქტურის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, კერძოდ კვალიფიკაციისმისანიჭებლად დადგენილი კრედიტების რაოდენობით;
უ) რეკომენდირებულია პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროებისკლასიფიკატორის მე-2 მუხლის მეხუთე პუნქტთან, მე-6 მუხლის მეორე და მესამე პუნქტთან.

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, 3^1 და 3^3 პუნქტების, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 3^1 და 3^3 პუნქტების, 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 28^8 მ უხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" საზოგადოებრივი ურთიერთობების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

18:27 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა დიმიტრი გეგენავამ.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ხელახალი აკრედიტაცია
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2011 წლის 25 ნოემბერი, გადაწყვეტილება N356
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ფიროსმანის ქ. №12
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ალექსანდრე წაქაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში ძირითადად იყო ტექნიკური ხარვეზები, რომელთა გამოსწორების მზაობა დაწესებულებამ პროგრამის შეფასების დროსაც გამოთქვა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

ა) ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებში ლიტერატურა უნდა მოვიდეს სწავლების დონესთან შესაბამისობაში და განსაზღვრული უნდა იქნას წინაპირობები;
ბ).რეკომენდებულია, გასწორდეს მემორანდუმის გაფორმებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზები;
გ) საჭიროა ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ დაზუსტდეს და ანალოგიური იყოს ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში;
დ) რეკომენდებულია შეფასების ქულები და მათი შეფასების კრიტერიუმები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში;
ე) წარმოდგენილი მასალებიდან გამოიკვეთა, რომ გასაახლებელია ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის ბაზა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და რეკომენდაციებს. აღნიშნა, რომ დაწესებულება მზად არის ლაბორატორიებისა და ხელსაწყოების განახლებისთვის. სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, უწევდა ორგანიზებას მემორანდუმების გაფორმების პროცესს. მათ იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად შემუშავებული ჰქონდათ მემორანდუმის სტანდარტული ფორმა, რომელსაც ხელს აწერდა კომპანიის წარმომადგენლები და უნივერსიტეტის რექტორი.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გასწორდებოდა საგზაო მშენებლობის სილაბუსში ტექნიკური ხარვეზი, სადაც შეფასების ქულები და მათი შეფასების კრიტერიუმები მოყვანილი იქნებოდა ერთმანეთთან შესაბამისობაში.
რაც შეეხება დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ, ვებ გვერდზე ატვირთული იყო პროგრამის შემოკლებული აღწერა, რომლის ფორმა შემუშავებული იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ. სხვა დამატებითი ინფორმაციის მოძიებისათვის დაინტერესებულ პირს შეეძლოთ პროგრამის ხელმძღვანელისთვის მიემართათ. შესაძლებელი იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულ საინფორმაციო ფაილში მითითებული ყოფილიყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. მან დამატებით აღნიშნა მემორანდუმებზე და აღნიშნა, რომ ბოლო მემორანდუმი გაფორმდა კომპანია „ანაგთან“. ყველა ხელსაწყო დანადგარი იყო მუშა მდგომარეობაში, უბრალოდ მოძველებული. საუბრის დასასრულს ინსტიტუციამ ყურადღება გაამახვილა პერსონალზე, რომელიც მათი თქმით საკმაოდ მაღალკვალიფიციურია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:47
დასრულების დრო: 18:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი -0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:

ა) ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებში ლიტერატურა უნდა მოვიდეს სწავლების დონესთან შესაბამისობაში და განსაზღვრული უნდა იქნას წინაპირობები;

ბ).რეკომენდებულია, გასწორდეს მემორანდუმის გაფორმებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზები;

გ) საჭიროა ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ დაზუსტდეს და ანალოგიური იყოს ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში;

დ) რეკომენდებულია შეფასების ქულები და მათი შეფასების კრიტერიუმები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში;

ე) წარმოდგენილი მასალებიდან გამოიკვეთა, რომ გასაახლებელია ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის ბაზა.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით

18:55 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი თურქიამ.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრონომია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 24 იანვარი, გადაწყვეტილება N27
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	აგრონომიის ბაკალავრი
8		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ახალციხე, 0800, რუსთაველის ქ. №122 (II კორპ.)
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ჯაფოშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის დისტანციური შეფასება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა 2020 წლის 1 დეკემბერს. 1, მე-3, მე-5 სტანდარტი ექსპერტთა მიერ შეფასებულ იქნა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო მე-2 და მე-4 სტანდარტები, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთნ“. რაც შეეხება კონკრეტულად რეკომენდაციებს, ასე ჩამოყალიბდა:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის XIII თავში, სწავლის შედეგების რუკაზე, 2 ცხრილი, უნდა დაკორექტირდეს და დონეებიც შესაბამისობაში მოვიდეს საგნებთან.
ბ) შესწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის XV თავში, ცხრილი - პროგრამის სტრუქტურა და კრედიტები და სასწავლო გეგმა.
გ) სასწავლო გეგმაში უნდა შემცირდეს ექსტენციის და აგროგანათლების კრედიტები და მათ ნაცვლად შევიდეს სავალდებულოდ სპეციალობის საგნები, მაგ: ზოგადი ბიოლოგიის საგანი და ბიომრავალფეროვნება „აგრობიომრავალფეროვნების“ საფუძვლებით.
დ) „ექსტენცია“ როგორც ასეთი არ შეიძლება იყოს მაინორი, რადგან შესაბამისი საბაკალავრო პროგრამა არ არსებობს უნივერსიტეტში.

ე) პროგრამის სტრუქტურასა და კრედიტების ცხრილში „პრაქტიკა ერთსა“ და „პრაქტიკა ორს“ სალექციო გრაფაში მითითებული აქვთ 30-30 საათი, რაც ვფიქრობთ შეცდომითა აგაპარული და გასასწორებელია.
ვ) სწავლების და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა მოითხოვს კორექტირებას და ცხრილში H, M, L შესაბამისად მაღალი, საშუალო და დაბალი უნდა დაკორექტირდეს შესაბამის შედეგებთან მიმართებით.
ზ) საგანი კალკულუსი უნდა ჩანაცვლდეს საგნით - ზოგადი სტატისტიკა და ეს საგანი გახდეს სავალდებულო.
თ) საჭიროა ლაბორატორიების აღჭურვა მინიმუმ ერთი სტერეო მიკროსკოპით.
ი) საჭიროა, წარმოდგენილი იყოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს რა დანახარჯებია და როგორაა იგი შესაბამისობაში პროგრამასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ბერიძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციები რომელიც პროგრამის მიმართ იყო გაცემული პირობითი აკრედიტაციის მინიჭების დროს, დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა. რაც შეეხებოდა მიმდინარე პროცესს და რეკომენდაციებს, მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარებაზე უნივერსიტეტი იღებდა ვალდებულებას, რომ ეს პროგრამა ამ კუთხით გაძლიერდებოდა. ბიუჯეტთან დაკავშირებულ რეკომენდააციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აგრარული მიმართულება უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა, რეგიონიდან გამომდინარე, და საჭიროების შემთხვევაში პროგრამა იქნებოდა დოტაციაზე. მისი თქმით, ყველა დანარჩენ რეკომენდაციას ითვალისწინებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ პროგრამის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ერთადერთი, ექსტენციასთან და აგრო განათლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე განმარტა, რომ რეკომენდაციისამებრ შემცირდა ექსტენციისათვის დათმობილი კრედიტების რაოდენობა, თუმცა, მისი თქმით, გარკვეული კრედიტები ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, რაც სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის „აგრონომიის“ საბაკალავრო პროგრამებს გამოარჩევდა სხვა უნივერსიტეტების „აგრონომიის“ პროგრამებისაგან. ექსტენციის ინტეგრირება და სწავლება პროგრამაში მოხდებოდა ისე, რომ არ დაზარალდებოდა აგრონომიის სპეციალობის საგნები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა ზუბაშვილმა დამატებით განმარტა, რომ პროგრამის განვითარება ხდებოდა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში. დაწესებულებამ იხელმძღვანელა „ბერნის“ უნივერსიტეტის გამოცდილებით და ამაზე დაყრდნობით შევიდა პროგრამაში „ექსტენცია“ და „აგრო განათლება“. იგი დაეთანხმა ექსპერტებს იმაში, რომ არ შეიძლებოდა ცალსახად გადმოტანა სხვა ქვეყნის გამოცდილებისა და მაგალითებისა, თუმცა როდესაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობა, მოთხოვნა იყო სახელმწიფო და კერძო სექტორიდან სწორედ იმ თანამედროვე მიდგომებზე, რასაც „ექსტენცია“ და „აგრო განათლება“ წარმოადგენდა და ამაში სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი იყო პიონერი. ამ კუთხით დაწესებულებას ჰქონდა გაეროს თანადგომა. მიმდინარე წელს დაგეგმილი იყო არსებულ ლაბორატორიებს დამატებოდა ექსტენციისთვის საჭირო ლაბორატორია, თანამედროვე ტექნიკა, მათ შორის, დრონები, ციფრული ტექნოლოგიები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევერი მანანა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ თავის დროზე, პროგრამაში „ექსტენციის“ შემოტანასთან დაკავშირებით ბევრი მსჯელობა ყოფილა. გასაგები იყო, რომ ეს იყო მოთხოვნა გარკვეული საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამებისა, თუმცა პირველად როდესაც სააკრედიტაციოდ იქნა პროგრამა წარმოდგენილი ექსტენციას იმდენად დიდი წილი

ეთმობოდა, რომ აგრონომიის ძირითად სპეციალობის საგნები დანაკლისში იყო. თუმცა, ამჯერად აღნიშნული საკითხი აღმოფხვრილი იყო, საგნები თანმიმდევრულად და საჭირო რაოდენობით იყო დამატებული. მიუხედავად ამისა, მან დააფიქსირა საკუთარი მოსაზრებები რიგ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, არ დაეთანხმა ექსპერტებს, ზოგადი ბიოლოგიისა და აგრო ბიომრავალფეროვნების საგნების ძირითად სასწავლო კურსებში დამატებასთან დაკავშირებით, ვინაიდან აგრო ბიომრავალფეროვნება შესაძლებელია შეთავაზებული ყოფილიყო არჩევით კურსში, მაგრამ ზოგადი ბიოლოგია აგრონომების საგანს არ წარმოადგენდა. მით უმეტეს, რომ პროგრამაში იყო ბოტანიკა, რომელიც მოიცავდა მცენარეთა მორფოლოგიას და სისტემატიკას, გენეტიკასა და სელექციას. სასწავლო კურსში ,,ნიადაგთმცოდნეობა“ სწავლების მეორე კვირას ლაბორატორიულ მეცადინეობაზე განხილულია საკითხი: ,, ნიადაგიდან კოლოიდების გამოყოფა. საერთო რაოდენობის განსაზღვრა. კაპილარიზაციის მეთოდით კოლოიდების ელექტრომუხტის ნიშნის განსაზღვრა“, მაშინ როდესაც სალექციო თემა ,,ნიადაგური კოლოდები და ნიადაგის შთანთქმისუნარიანობა“ ისწავლება მეშვიდე კვირას, ამიტომ ლაბორატორიულ სამუშაოს სტუდენტი ვერ ჩაატარებდა თუ მას თეორიული კურსი არ ექნებოდა ჯერ გავლილი კოლოიდების შესახებ. აქედან გამომდინარე, სასურველია ლაბორატორიული სამუშაო გადატანილ იქნას მეშვიდე კვირაში, რადგან თეორიული კურსის მეორე კვირაში გადმოტანა ნაადრევი იქნებოდა ნიადაგმცოდნეობაში.

მეთოთხმეტე კვირას მითითებული იყო საკითხი საქართველოს ნიადაგები, სადაც განხილული არ არის თითოეული ნიადაგის გენეზისი, კლასიფიკაცია, ფიზიკო-ქიმიური თვისებები, ნაყოფიერება. მისი განმარტებით, პროგრამა რომ ყოფილიყო ეკოლოგიის, ბუნების დაცვის ან სატყეო საქმის, შესაძლებელი იქნებოდა ერთ-ორ ლექციაში გაკეთებულიყო მთელი საქართველოს ნიადაგების მიმოხილვა. მაგრამ, აგრონომებისთვის უნდა ისწავლებოდეს კერძო ნიადაგ მცოდნეობა, სადაც იქნებოდა სათითაო ნაიდაგური ტიპი განხილული დეტალურად. ამისათვის ან უნდა დამატებოდა საქართველოს ნიადაგების ან კერძო ნიადაგების სასწავლო კურსი.

მიწათმოქმედების ორი სასწავლო კურსი იყო მითითებული, „მიწათმოქმედება მელიორაციის საფუძვლებით“ და „მიწათმოქმედება მექანიზაციის საფუძვლებით“. მისი განმარტებით, აგრონომს არ სჭირდებოდა იმის შესწავლა, თუ როგორ მოაწყოს სამელიორაციო სისტემა და როგორ გადაჭრას მასთან დაკავშირებული საკითხები, ეს ყოველივე აგრო ინჟინერიის პრეროგატივას წარმოადგენდა. აგრონომს არც მექანიზაციის ცოდნა ესაჭიროებოდა. საკმარისი იყო მხოლოდ ერთი მიწათმოქმედების სასწავლო კურის შეტანა პროგრამაში, სადაც განხილულ იქნებოდა საკითხები მიწათმოქმედების კანონების, წყლის რესურსების ნიადაგში, ჭკნობის კოეფიციენტის, თესლბრუნვების და სარეველების შესახებ, რომელიც იქნებოდა სრულიად საკმარისი აგრონომებისთვის. ხოლო თუ მაინც სურდათ პროგრამის განმახორციელებლებს მექანიზაციის და მელიორაციის საკითხების შეთავაზება აგრონომიის სტუდენტებისთვის, მიზანშეწონილი იყო არჩევით კურსებში გადატანა აღნიშნული საგნებისა.

მისი აზრით, თესლის ხარისხის განსაზღვრის საკითხები მიწათმოქმედებაში არ იყო საჭირო, რადგან „სელექცია მეთესლეობის საფუძვლების“ სასწავლო კურსში დაწვრილებით იყო მიმოხილული აღნიშნული საკითხები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:17
დასრულების დრო:19:21

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

ü საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასება, კერძოდ მე-4 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსსიტეტის „აგრონომიის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -13
წინააღმდეგი -0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის XIII თავში, სწავლის შედეგების რუკაზე, 2 ცხრილი, უნდა დაკორექტირდეს და დონეებიც შესაბამისობაში მოვიდეს საგნებთან.
ბ) შესწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის XV თავში, ცხრილი - პროგრამის სტრუქტურა და კრედიტები და სასწავლო გეგმა.
გ) „ექსტენცია“ როგორც ასეთი არ შეიძლება იყოს მაინორი, რადგან შესაბამისი საბაკალავრო პროგრამა არ არსებობს უნივერსიტეტში.
დ) პროგრამის სტრუქტურასა და კრედიტების ცხრილში „პრაქტიკა ერთსა“ და „პრაქტიკა ორს“ სალექციო გრაფაში მითითებული აქვთ 30-30 საათი, რაც ვფიქრობთ შეცდომითა აგაპარული და გასასწორებელია.
ე) სწავლების და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა მოითხოვს კორექტირებას და ცხრილში H, M, L შესაბამისად მაღალი, საშუალო და დაბალი უნდა დაკორექტირდეს შესაბამის შედეგებთან მიმართებით.
ვ) საგანი კალკულუსი უნდა ჩანაცვლდეს საგნით - ზოგადი სტატისტიკა და ეს საგანი გახდეს სავალდებულო.
ზ) საჭიროა ლაბორატორიების აღჭურვა მინიმუმ ერთი სტერეო მიკროსკოპით.
თ) სასწავლო კურსში ,,ნიადაგთმცოდნეობა“ სწავლების მეორე კვირას ლაბორატორიულ მეცადინეობაზე განხილულია საკითხი: ,, ნიადაგიდან კოლოიდების გამოყოფა.საერთო რაოდენობის განსაზღვრა. კაპილარიზაციის მეთოდით კოლოიდების ელექტრომუხტის ნიშნის განსაზღვრა“, მაშინ როდესაც სალექციო თემა ,,ნიადაგური კოლოდები და ნიადაგის შთანთქმისუნარიანობა“ ისწავლება მეშვიდე კვირას, ამიტომ ლაბორატორიული სამუშაოს წარმოდგენილი თემატიკა უნდა ისწავლებოდეს ან მეშვიდე კვირას, ან მის მომდევნო რომელიმე კვირას.
ი) სასწავლო კურსიდან ,, ნიადაგთმცოდნეობა“ ამოღებულ იქნას საკითხი საქართველოს ნიადაგების შესახებ და პროგრამაში შევიდეს ცალკე სასწავლო კურსის სახით, სადაც განხილული იქნება საქართველოს თითოეული ნიადაგური ტიპი.
კ) სასწავლო კურსებიდან ,,მიწათმოქმედების თანამედროვე ტექნოლოგიები მექანიზაციის საფუძვლებით“ და,,მიწათმოქმედების თანამედროვე ტექნოლოგიები აგრომელიორაციის საფუძვლებით“ ამოღებულ იქნას მელიორაციის და მექანიზაციის საკითხები, ამავე დროს გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსში ,,მიწათმოქმედება“, სადაც განხილულ იქნება მხოლოდ მიწათმოქმედების სასწავლო კურსის შესაბამისი საკითხები.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით

19:24 საათზე საბჭოს სხდომა დასრულდა.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა